აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

27. 05. 2004 ქ. ბათუმი

დღის წესრიგი:

1. საოლქო საარჩევნო კომისიის დანიშვნის/არჩევის ბოლო ვადის განსაზღვრა
2. ზოგადი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.
3. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა, კომისიის წევრები: სიმონ ჩხაიძე, გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, ლევან ჩავლეიშვილი, მამუკა წულუკიძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე სიტყვით გამოვიდა სიმონ ჩხაიძე, რომელიც შემოვიდა წინადადებით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის უფლებამოსილი სუბიექტის გადაწყვეტილების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 29 მაისი. აღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით სხვა განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. საკითხს ეყარა კენჭი და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გ. მჭედლიძე, რომელმაც განმარტა, რომ სხდომის ყველა წევრს დარიგებული აქვს მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადის ფორმა თანდართული ნიმუშის მიხედვით და სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ საკუთარი აზრი წარმოდგენილ ნიმუშთან დაკავშირებით. განაცხადის ფორმა მოწონებული იქნა სხდომის წევრების მიერ, ეყარა კენჭი და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა, რომელმაც დააყენა საკითხი კომისიის წევრების თანამშრომლობისა კომისიის აპარატის სამსახურებთან. აზრი გამოთქვა ს.

ჩხაიძემ, გ. ბზიკაძემ, ლ. ჩავლეიშვილმა, მ. წულუკიძემ. და განაცხადეს თანხმობა კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებულ წინადადებაზე, კერძოდ, ს. ჩხაიძემ გამოთქვა სურვილი ითანამშრომლოს კომისიის აპარატის იურიდიულ სამსახურთან, გ. ბზიკაძემ – ეკონომიკურ სამსახურთან, ს. დუმბაძემ – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან, ლ. ჩავლეიშვილმა – კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურთან, მ. წულუკიძემ – საერთო სამსახურთან.

ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი ს. ჩხაიძე. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე გ. მჭედლიძე, რომელმაც დამსწრეთ აუხსნა რეგისტრაციის ტექნიკური – ე. წ. კომპიუტერული ინფორმაციის დამუშავების პროცესი, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდთანაა დაკავშირებული და გამოთქვა აზრი, რომ ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია დაიწყოს 1 ივნისიდან და დასრულდეს 10 ივნისს.

აღნიშნულ საკითხს ეყარა კენჭი და საკითხი იქნა მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე

მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის
გ ა ნ ა ც ხ ა დ ი №------

№ ---------- ---------- საარჩევნო ოლქი № ---------- ---------- საარჩევნო უბანი

გთხოვთ, გამაერთიანოთ ამომრჩეველთა ერთიან სიაში

გვარი სახელი, მამაის სახელი: ----------

დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი): ----------

რეგისტრაციის ადგილი (მუდმივი საცხოვრებელი

მისამართი) ----------

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი:

--- --- ---

(დოკუმენტის სახე) (დოკუმენტის ნომერი) (პირადი ნომერი, თუკი ასეთი არსებობს)

მოქალაქის ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

მოქალაქეთა წინასწარი საარჩევნო რეგისტრაცია
რეგისტრაციის განმახორციელებელი
საუბნო საარჩევო კომისიის წევრი

გვარი, სახელი
(გარკვევით)

ამომრჩეველთა ბარათი № ----------

ამომრჩევლის სახელი და გვარი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართება 2004 წლის 20 ივნისს 8^{00}-დან 20^{00}-მდე. შემდეგ მისამართზე:

გთხოვთ, მობრძანდეთ და განახორციელოთ თქვენი კონსტიტუციური უფლება